



2025 წლის აგვისტოს თვის  
მაკროეკონომიკური გარემოს

## **მიმოხილვა**


საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

**2025**


სექტემბერი

# 2025 წლის აგვისტოსთვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები\*

2



2025 წლის აგვისტოში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.6% შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია 2.8%-ით განისაზღვრა.





ივლისში\* ფულადმა გზავნილებმა 337.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ევროკავშირის ქვეყნები - 44.3%; აშშ - 18.1%; რუსეთი - 13.4%; სხვა ქვეყნები - 24.1%.

ივლისში\*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი, როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.

აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან 0.5%-ით, ევროსთან მიმართებით კი 1.2%-ით გამყარდა.

# 1. რეალური და ფისკალური სექტორი



2025 წლის ივლისში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 6.5%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2025 წლის ივლისში\*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6.5%, ხოლო იანვარ-ივლისის საშუალო მაჩვენებელმა 8.0% შეადგინა.



ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა: ტრანსპორტი და დასაწყობება, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ხელოვნება, გართობა და დასვენება, ვაჭრობა.



დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2025 წლის ივლისში\* 16,057.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 9.2%-ით აღემატება.

2025 წლის აგვისტოში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 4.6% შეადგინა.

აგვისტოში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ინფლაციის დონე 4.6%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე შედარებით მაღალი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, აგრეთვე - ჯანმრთელობის დაცვაზე, ალკოჰოლურ სასმელებზე, თამბაქოზე და ტრანსპორტზე. აგვისტოში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.8%-ით განისაზღვრა.

2025 წლის ივლისში\* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 3.9% შეადგინა.





2025 წლის ივლისში\* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.



ივლისში\*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 15.6%-ით, ხოლო ხარჯები 2.7%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 134.7 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 209.9 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის ივლისში\* საგადასახადო შემოსავლებმა 2,184.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 16.7%-ით აჭარბებს. ამავე პერიოდში გაიზარდა საშემოსავლო გადასახადი (15.1%-ით) და იმპორტის გადასახადი (7.6%-ით). შემცირდა ქონების გადასახადი (20.0%-ით), აქციზი (14.9%-ით), მოგების გადასახადი (7.1%-ით) და დღგ (1.9%-ით). პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 48.5%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 51.5% შეადგინა. ივლისში\*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების შეძენის 34.9%-იანი კლება (198.9 მლნ ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.


2025 წლის ივლისში\*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე რეგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.

ივლისში\*, წინა წლის ივლისთან\* მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 15.5%-ით მოიმატა და 63,901.7 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 18.9%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 10.9%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 42.3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.5%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.0% ფიზიკურ პირებზეა, 15.0% კი ინდემნარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 37.7% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 62.3% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 21.4% გაცემულია მშენებლობის დარგში, 20.8% - ვაჭრობის, 16.3% - მრეწველობის, 14.7% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 6.2% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



## 2. საგარეო სექტორის ინდიკატორები




2025 წლის იანვარ-ივლისში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.

2025 წლის იანვარ-ივლისში\* ექსპორტმა 9.0%-ით, ხოლო იმპორტმა 10.8%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 10.3%-ით გაიზარდა და 14,155.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 27.2%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ბულგარეთში (167%), აგრეთვე - უზბეკეთში (57%), ყირგიზეთში (39%), ყაზახეთში (11%), შვეიცარიაში (8%), ჩინეთი (5%), რუსეთში (1%) და სხვა ქვეყნებში. ექსპორტი შემცირდა თურქეთში (32%), სომხეთში (16%), აზერბაიჯანში (0.1%) და სხვა.


იანვარ-ივლისში\* საექსპორტო საქონლის მიხედვით, ზრდა დაფიქსირდა: ძვირფასი ლითონების მადნების (73%), უალკოჰოლო სასმელების (31%), მსუბუქი ავტომობილების (24%), ოქროს (17%), სამკურნალო საშუალებების (13%), ამოტოვანი სასუქების (12%), მინერალური და მტკნარი წყლის (4%) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობების (47%), ნატურალური ღვინის (17%), სპირტიანი სასმელების (9%) საზღვარგარეთ გატანა.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი  
(იანვარი - ივლისი)




2025 წლის იანვარ - ივლისში\* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 73.6% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 18.3% - საზღვაო, 4.1% - საჰაერო, 3.4% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) საშუალებების წილმა მხოლოდ 0.6% შეადგინა.

ექსპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით  
(იანვარი - ივლისი)




ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 43.3% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 37.5% - საზღვაო, 11.4% - საჰაერო, 5.2% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი სახეების წილმა 2.6% შეადგინა.

იმპორტი ტრანსპორტირების სახეების მიხედვით  
(იანვარი - ივლისი)




იანვარ-ივლისში\* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 1,742.8 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.7%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 22%), თურქეთი (10%), ჩინეთი (10%), ბულგარეთი (6%), სომხეთი (6%), აზერბაიჯანი (5%), შვეიცარია (4%), უკრაინა (3%), ყაზახეთი (3%), იტალია (3%).

ფულადი გზავნილები (%)  
ჩარიცხვები, ივლისი



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები  
(მლნ აშშ დოლარი)




2025 წლის ივლისში\* ფულადი გზავნილები გაიზარდა.

ივლისში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 13.0%-ით გაიზარდა და 337.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (149.4 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.3%) და აშშ (60.9 მლნ აშშ დოლარი, 18.1%) წარმოადგენდნენ.

რუსეთიდან გზავნილები 0.5%-ით შემცირდა და 45.3 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 13.4%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (55.7 მლნ აშშ დოლარი, წილი 16.5%), აგრეთვე - გერმანიიდან (29.2 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (26.1 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (24.1 მლნ აშშ დოლარი), ყირგიზეთიდან (11.3 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (10.0 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთიდან (10.0 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.



2025 წლის აგვისტოში საერთაშორისო რეზერვებმა 5,204 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

აგვისტოში, საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5,204 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2024 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 7.5%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 3.7%-ით გაიზარდა.

2025 წლის აგვისტოში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯრადი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმულე.

### 3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2025 წლის ივლისში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

ივლისში\*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 16.9%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 9.3%-ით, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 25.6%-ით გაიზარდა.


ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 10.4%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 11.8%-ს გაუტოლდა. 2025 წლის აგვისტოში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 4.6% შეადგინა.

2025 წლის ივლისში\*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 63,260.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10.4%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 49.6% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა კი 50.4%.

ივლისის\* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 62.4% იურიდიულ პირებს, ხოლო 37.6% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.


ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 67.2% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 32.8% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები (%-ლი ცვლილება)




2025 წლის აგვისტოში მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 10,698.9 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის: 73.2% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 11.8% - ეროვნული ბანკის, ხოლო 15.0% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 13.9%, არარეზიდენტი - 1.1%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით (აგვისტო)




დეპოზიტები ივლისი



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 53.1% ვადიანი დეპოზიტებია, 24.0% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 22.9% მიმდინარე ანგარიშები. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (42.1%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (33.1%) და მიმდინარე ანგარიშებს (24.8%).

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2025 წლის ივლისში\*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.

ივლისში\*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.20 პპ-ით შემცირდა და 47.1%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.70 პპ-ით შემცირდა და 42.3% შეადგინა.


ივლისის თვეში\*, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 2.3%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 1.5%-ით გაიზარდა.

სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი (მლნ ლარი, %)




2025 წლის ივლისში\*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 13,439.5 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 23.5%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.6%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.4%.

სამომხმარებლო სესხები (ივლისი)



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 43,452.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 15.1%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.9%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.1%.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები (ივლისი)




ივლისის\* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 63.9% გაცემულია თბილისში, 7.5% - იმერეთში, 7.4% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.0% - კახეთში, 4.7% - ქვემო ქართლში, 4.1% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2025 წლის ივლისში\*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.05 პპ-ით, ხოლო სესხებზე 0.02 პპ-ით შემცირდა.


ივლისში\*, საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.5% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.8%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის), ივლისის\* მდგომარეობით, 6.7% შეადგინა, 0.74 პპ-ით მეტი წინა წლის ივლისთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2025 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)



2025 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ლარი როგორც აშშ დოლართან მიმართებით, ასევე ევროს მიმართ გამყარდა.

აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.5%-ით, ევროს მიმართ 1.2%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 2.0%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, აგვისტოში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.1%-ით და ევროს მიმართ 5.4%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 21.2%-ით გამყარდა.

აგვისტოს თვეში, პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.70, ევროს მიმართ 3.14, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.07 შეადგინა.


## 4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2025 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.


2025 წლის I კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,170.1 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 11.7%-ით (226.7 ლარით) მეტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 2.1%-ით (47.5 ლარით) ნაკლებია.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2025 წლის I კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის (5,515.1 ლარის ოდენობით, ზრდა 22.0%), ინფორმაციისა და კომუნიკაციის (4,163.0 ლარის ოდენობით, 5.2% წლიური კლება), პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის დარგებში (2,975.7 ლარი, ზრდა 11.3%), აგრეთვე მშენებლობის (2,908.9 ლარი, ზრდა 10.8%).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე და ჯანდაცვაზე (მლნ ლარი)



2025 წლის ივლისში\*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, სახელმწიფო დანახარჯები როგორც განათლებაზე, ასევე ჯანდაცვაზე შემცირდა.


ივლისში\* განათლებაზე განუღმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 369.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 4.6%-ით ნაკლებია. ჯანდაცვაზე განუღმა დანახარჯები კი 167.2 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 32.3%-ით ნაკლები.

## 5. რეგიონული მიმოხილვა


2025 წლის აგვისტოში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 32.9%, ხოლო სომხეთში 3.6% შეადგინა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2025 წლის ივლისის\* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 5.0%-ით, რუსეთში კი 8.8%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია აგვისტო



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება აგვისტო



2025 წლის აგვისტოს თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, თურქული ლირის და ქართული ლარის გარდა, გამყარდა.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აგვისტოში აშშ დოლართან მიმართებით თურქული ლირა 17.6%-ით და ქართული ლარი 0.1%-ით გაუფასურდა, ხოლო რუსული რუბლი 10.9%-ით, სომხური დრამი 1.2%-ით, აზერბაიჯანული მანათი კი 0.002%-ით გამყარდა.

## ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	აგვ 24	სექ 24	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იან 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	12.0	8.3	11.0	7.5	6.7	11.1	7.7	9.0	7.5	7.5	6.3	6.5	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	14.2	11.6	14.7	10.1	10.1	14.7	8.7	10.8	9.4	13.0	8.7	9.2	
ინფლაცია (%)	1.0	0.6	0.3	1.3	1.9	2.0	2.4	3.5	3.4	3.5	4.0	4.3	4.6
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.46	0.46	0.47	0.49	0.50	0.49	0.51	0.50	0.49	0.49	0.48	0.47	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.44	0.44	0.43	0.43	0.43	0.44	0.43	0.43	0.43	0.43	0.43	0.42	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.70	2.71	2.73	2.74	2.81	2.84	2.82	2.78	2.75	2.74	2.73	2.71	2.70
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	290,567	283,385	281,060	266,696	285,395	242,440	252,282	291,863	295,541	317,421	315,507	336,988	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	641	616	682	543	549	404	432	562	617	580	640	610	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,456	1,444	1,506	1,476	1,699	1,702	1,231	1,514	1,514	1,463	1,422	1,465	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-815.3	-828.5	-824.4	-933.3	-1,149.3	-1,297.9	-799.3	-951.9	-897.6	-883.3	-781.5	-854.2	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,839	4,712	4,085	4,124	4,448	4,430	4,234	4,311	4,518	4,585	4,688	5,020	5,204
შემოსავლები (მლნ ლარი)	1,951	2,216	2,011	2,003	2,598	2,213	1,956	2,372	2,059	2,819	2,609	2,387	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,531	1,599	1,937	1,721	2,648	1,932	1,851	1,955	1,940	1,872	2,000	2,252	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	555	594	567	456	1,147	392	380	406	397	332	454	317	

ზრდა
  კლება
  ცვლილება < 1%


ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		აგვ 24	სექ 24	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იანვ 25	თებ 25	მარ 25	აპრ.25	მაისი 25	ივნ.25	ივლ 25	აგვ.25
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
	შემოსავლები													
ფისკალური სექტორი	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		აგვ 24	სექ 24	ოქტ 24	ნოვ 24	დეკ 24	იანვ 25	თებ 25	მარ 25	აპრ 25	მაისი 25	ივნ.25	ივლ 25	აგვ.25
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
	შემოსავლები													
ფისკალური სექტორი	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში  
შეგიძლიათ იხილოთ



ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)  
შეგიძლიათ იხილოთ

